ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №528413

ნომერი: AR1106694

თარიღი : 01.02.2013

გაცემის თარიღი : 04.02.2013

გაცნობის თარიღი : 05.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარ მეფის გამზ./ჩუბინაშვილი ქუჩა N29/81;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ მამადაშვილი პ/ნ 01011029009
- თბილისი წმ.ქეთევან დედოფლის გამზ. N 29

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზ./ჩუბინაშვილი ქუჩა N29/81– ში, სარეკლამო ბანერის განთავსების და ფასადის განახლების (შეღებვის) საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური". ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას მიეცა უარყოფითი შეფასება (სარეკლამო ბანერი ძალიან დიდი ზომისაა და შენობაზე განთავსების ადგილიც მიუღებელია) და თქვენს თხოვნას ეთქვა უარი.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.